

კლასის მართვის პრობლემები სსიპ ქალაქ თბილისის #64 საჯარო სკოლის
VI² კლასში

ვერიკო ხელისუფალი

გურამ გომარელი

ნინო ჭითანავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე (მოწვეული მასწავლებელი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ყველა მოსწავლეს სკოლაში სწავლის განსხვავებული მოტივაცია აქვს. მათი მოტივირების ხელშემწყობი ფაქტორები კი პირველ რიგში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და კლასისა და სასწავლო პროცესის ეფექტური მენეჯმენტია. წლების განმავლობაში დაგროვდა ფსიქოლოგების და განათლების ექსპერტების, პედაგოგების მიერ შემუშავებული კლასის მართვის არაერთი მოდელი, თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება საგაკვეთილო პრაქტიკაში აღნიშნული მეთოდების გამოყენების საკითხი. ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტული იყო, პრაქტიკული კვლევის საშუალებით შეგვესწავლა ამ მიმართულებით არსებული პრობლემები სსიპ ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლაში.

ჩვენს საკვლევ საკითხს წარმოადგენდა კლასის მართვის პრობლემების შესწავლა სსიპ ქალაქ თბილისის #64 საჯარო სკოლის VI² კლასში. კვლევის მიზანი იყო კლასის მართვის პრობლემების შესწავლა, ახალი ცოდნის გენერირება, შემდგომი გამოყენება და გავრცელება, პედაგოგებთან ერთად სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც კლასის მართვის კუთხით არსებული სიტუაციის შეფასების, შეცვლისა და სწავლა-სწავლების პრაქტიკისათვის აუცილებელი უნარების განვითარების შესაძლებლობას მოგვცემდა.

პრაქტიკული კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები და გამოვიკვლიეთ სკოლის ინტერესთა ჯგუფების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) მოსაზრებები და დამოკიდებულებები საკვლევ საკითხთან მიმართებაში.

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებამ, ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ კლასის მართვის ხარვეზების გამომწვევ ერთ-ერთ ძირითად მიზეზს მოსწავლეთა სწავლისადმი დაბალი მოტივაცია წარმოადგენს, რასაც თავის მხრივ იწვევს უინტერესო გაკვეთილი ან ოჯახური პრობლემები.

კვლევის შედეგად გამოკვეთილმა პრობლემებმა ცხადჰყო, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას აღნიშნული მიმართულებით, უნდა განხორციელდეს მშობელთა ჩართულობის ხელშემწყობი ღონისძიებები და სხვა ისეთი მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც აუცილებელია სკოლაში კლასის მართვის პრობლემის მოგვარებისა და ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესისათვის.

ამ მიგნებებზე დაყრდნობით, კვლევის ფარგლებში ორი ამოცანა დაისახა: ა) სწავლების მეთოდების მრავალფეროვნების გაზრდა ხელოვნების გაკვეთილზე და ბ) კლასში ქცევის მართვის მექანიზმების დახვეწა, რაც გულისხმობს მოსწავლეების დისციპლინის გაუმჯობესებას მათი უფლება-მოვალეობების გაცნობირების გზით. პრობლემების გადაჭრისაკენ მიმართული კონკრეტული ინტერვენციებიც ამ ორი ამოცანის შესაბამისად განხორციელდა.

კვლევა იძლევა დეტალურ ინფორმაციას სსიპ ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლის VI² კლასის მართვის პრობლემების შესახებ არსებულ მდგომარეობაზე. კვლევის ანგარიში მნიშვნელოვანი დოკუმენტია კლასის მართვის საკითხებთან დაკავშირებით ახალი ღონისძიებების დაგეგმვისათვის. ვფიქრობთ, ანგარიში დაეხმარება სკოლას ქმედითი ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის ზრდას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კვლევა, სკოლა, კლასი, მართვა